პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 226 (10002) | ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ხალხები დაიცავენ მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. — „პრავდის" 22-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
რ. ჯინჯოლია. — მომზადებული შევხვდეთ პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის დაწყებას (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა (მე-2 გვერდი).
გაზეთი და მკითხველი (მე-2 გვერდი).
ნ. შველიძე. — ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე (მე-3 გვერდი).
საშემოდგომო ხვნა-თესვა. — ს. ქოჩლაძე. — სერიოზული ნაკლოვანებანი ახმეტის მტს-ში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

# ხალხები დაიცავენ მშვიდობისა და უშიშროების საქმეს

ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა იხსნან ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან, დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება. მშვიდობისათვის ბრძოლაში ებმებიან ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ჯანსაღი ეროვნული ძალები.

მშვიდობისათვის ბრძოლის შემდგომი გაჩაღების საქმეში დიდ როლს შეასრულებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია, რომელიც 13-15 სექტემბერს მიმდინარეობდა ვენაში.

სესიის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის მზარდ გავლენას ახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე. მილიონობით ადამიანთა ამ დიადმა ბრძოლამ უკვე გამოიწვია საგრძნობი წარმატებანი, ხალხებს ჩაუნერგა ახალი იმედი.

„დიდმა მოვლენებმა მსოფლიოს მოუტანა ახალი იმედი და დააჯილდოვა ყველა იმათი ღონისძიებანი, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის, — ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განცხადებაში.

ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი კორეასა და ინდოჩინეთში დაზავების შესახებ; საფრანგეთის პარლამენტმა უარყო ხელშეკრულებანი ევროპის არმიის შესახებ, რომლებიც დასტურს აძლევდნენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას.

ღონისძიებებმა, რომლებსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო ახორციელებს, და მშვიდობის დაცვის კამპანიებმა საშუალება მოგვცეს სამოქმედოდ მოგვეწოდებინა ხალხებისათვის და დაგვერაზმა მათი ღონისძიებანი. ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი სამართლიანად ამაყობს დღეს იმ როლით, რომელიც მათ შეასრულეს ამ დიად გამარჯვებაში".

თუ დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარ შენელებაზე, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დაუცხრომელი, მამაცური ბრძოლის მეოხებით, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით კეთილი ნების ადამიანი ეწევა. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა თავდადებული ღონისძიებანი შეესაბამება ყველა პატიოსანი ადამიანის სურვილებსა და მისწრაფებებს და მათი მზარდი მხარდაჭერით სარგებლობს.

მაგრამ მშვიდობისათვის მებრძოლნი ვერ დასჯერდებიან მიღწეულ წარმატებებს. ისინი ხედავენ, რომ აგრესიის ძალებს იარაღი არ დაუყრიათ. მშვიდობის მტრები იღებენ ახალ ღონისძიებებს, რათა არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ევროპაში, აზიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში შექმნან სახელმწიფოთა კარდახშული სამხედრო დაჯგუფებანი, რომლებიც უპირისპირდებიან სხვა ქვეყნებს.

ბონელი რევანშისტების მფარველები ამჟამად ისწრაფვიან გამოძებნონ ჩაფუშული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შემცვლელი, ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეაიარაღონ დასავლეთგერმანელი მილიტარისტები. ეს პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას. ითვალისწინებს რა მშვიდობის მტრების ამ მოქმედებას, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო სრული საფუძვლით აცხადებს:

„ევროპას ემუქრება უშუალო საფრთხე, რომელსაც შეუძლია არარად აქციოს ყველა მიღწეული შედეგი. გერმანიის არმიის აღდგენა და სამხედრო კოალიციის შემადგენლობაში მისი შეყვანა კვლავ რჩება ზოგიერთი მთავრობის მიზნად. ეს დაამკვიდრებდა გერმანიის გათიშვას, გააძლიერებდა თვითნებურად გაყოფილი ევროპის ორი ნაწილის დაპირისპირებას, აგრეთვე გააძლიერებდა გამალებულ შეიარაღებას".

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო თავის განცხადებაში მოუწოდებს ხალხებს „მოსთხოვონ შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ განაახლონ მოლაპარაკება".

„არც ერთმა მთავრობამ, — ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განცხადებაში, — არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება მოლაპარაკებას, არ ჩაიდინოს მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლიდა მოლაპარაკების განხორციელებას, ანდა არ წამოაყენოს წინასწარი პირობები.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება მისაღები უნდა იყოს თვითეული დაინტერესებული სახელმწიფოსათვის და თვით გერმანელი ხალხისათვის. მან ბოლო უნდა მოუღოს გერმანიის გათიშვას, არ უნდა დაუშვას, რომ გერმანია გამოიყენონ როგორც მისი რომელიმე მეზობლის წინააღმდეგ მუქარის იარაღი, და ამავე დროს შესაძლებლობა მოგვცეს მოვაწყოთ ევროპის უშიშროება".

უშიშროება უზრუნველყოფილი ვერ იქნება ზოგიერთი სახელმწიფოს კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გზით, რომლებსაც უპირისპირებენ სხვა სახელმწიფოებს. უშიშროების უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობა, მიუხედავად მათი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი წყობილებისა, და შეთანხმება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ.

მშვიდობის მზარდი ძალების შემდგომი დარაზმვისა და მობილიზაციის მიზნით მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ, დაადგინა ამა წლის 18 ნოემბერს მოიწვიოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია, რომელიც განიხილავს, კერძოდ, იმ საკითხს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო თანამშრომლობდეს მათი საერთო უშიშროების ორგანიზაციის საქმეში; მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა აზიის სხვადასხვა ნაწილში უცხოეთის ზეგავლენისა და ბლოკების და სამხედრო კოალიციების სისტემის შექმნის შედეგად; მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ლათინურ ამერიკაში სახელმწიფოთა საქმეებში უცხოეთის ჩარევის გამო; განიარაღებისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობის ძალების ბრძოლის საკითხებს.

ამასთან ერთად მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესიამ დაადგინა მოამზადოს 1955 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ყველა ქვეყნის მშვიდობის ძალების წარმომადგენელთა ასამბლეის მოწვევა.

საბჭოთა ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. აქტიურად მონაწილეობს რა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობაში, მას თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვეობის ამ დიად მოძრაობაში. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას თუ ხალხები თავიანთ ხელში აიღებენ მშვიდობის შენარჩუნების საქმეს და ბოლომდე დაიცავენ მას. მშვიდობისათვის მებრძოლთა მზარდი აქტივობა, გადაჭრით მხილება ყოველგვარი ხრიკისა, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო უშიშროებას, მშვიდობისათვის მტრული სამხედრო პროპაგანდის თანმიმდევრული მხილება, მშვიდობის მომხრეთა დარაზმვა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხალხთა დიადი ბრძოლის ახალ წარმატებათა საწინდარია.

„პრავდის" 22-IX მოწინავე.

## მზესუმზირას აღება

წითელწყარო, 22 სექტემბერი. (საქინფორმი). რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე მასობრივად გაჩაღდა მზესუმზირასა და სიმინდის მოსავლის აღება. მზესუმზირას მოსავალი აღებულია 4.300 ჰექტარზე, სიმინდისა — 450 ჰექტარზე.

მზესუმზირას მოსავლის აღება დაამთავრეს სოფელ ზემოქედის, არხილოსკალოსა და საბათლოს კოლმეურნეობებმა. მათ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 11-13 ცენტნერი მზესუმზირა მიიღეს, ხოლო ცალკეულ ჰექტარზე მოსავალმა 15 ცენტნერს მიაღწია.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

### აჭარამ მიიღო აფხაზეთის გამოწვევა

გაიმართა აჭარის მრეწველობის მუშაკთა თათბირი.

აჭარის მრეწველობის რვა თვის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. ა. კოპლატაძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ აჭარის სამრეწველო საწარმოებმა 105,2 პროცენტით შეასრულეს მიმდინარე წლის რვა თვის დავალება, 2,5 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, 2,7 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფოს მისცეს 8.800 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. მოწინავე საწარმოთა რიგებში დადგნენ სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ციტრუსკომბინატი, მომთუთიებელი ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ აჭარაში არის ჩამორჩენილი საწარმოებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად სწევენ უკან რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მაჩვენებლებს. მათ რიცხვშია სამკერვალო ფაბრიკა, პურის საცხობი კომბინატი, ფეხსაცმლის ფაბრიკა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ზოგიერთი საწარმო.

ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენა ძირითადად იმით აიხსნება, რომ სამეურნეო მუშაკები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვერ ახორციელებენ საწარმოებისადმი საქმიან, კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, სუსტად იბრძვიან ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

დაბალია კაპიტალური მშენებლობის ტემპი. მშენებლებმა 7 თვის დავალება მხოლოდ 64,5 პროცენტით შეასრულეს.

თათბირმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მათი მაქსიმალურად გამოყენების, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაძლიერების აუცილებლობას.

თათბირის მონაწილენი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას, რომ აფხაზეთის მრეწველობის მუშაკთა თათბირის მონაწილეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აჭარის მრეწველობის მუშაკები.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მოიწონეს აფხაზეთის მრეწველობის მუშაკთა პატრიოტული ინიციატივა, მიიღეს მათი გამოწვევა და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. დ. მამულაძე.

თათბირის მონაწილეებმა აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშაკს მიმართეს მოწოდებით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

### პატრიოტული მოწოდება

ტყიბული. (საკ. კორ.). შახტებში ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მეშახტეები და შახტმშენებლები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ, იბრძვიან ქვანახშირის ამოღების დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის.

ამ დღეებში ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც წელს სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწოდებით მიმართა ტრესტის ყველა შახტის კოლექტივს გააჩაღონ დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. ამ შახტის ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი სტახანოვურ ვახტზე დადგა. მათი გადაწყვეტილებაა — ქვანახშირის ამოღების სექტემბეროქტომბრის დავალება შეასრულონ 103 პროცენტით, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა — 110 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლონ სულ ცოტა 10 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 1 მანეთითა და 50 კაპიკით, გააუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის მოწოდებას მხარი დაუჭირეს სხვა შახტების მუშაკებმა და თავის მხრივ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

## ტრაქტორისტების სოციალისტური შეჯიბრება

### ახალსოფლის მტს-ში

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად წარმატებით იბრძვის ახალსოფლის მტს-ის მეათე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. ხუროშვილი), რომელიც სოფელ ხურვალეთის გამსხვილებულ კოლმეურნეობას ემსახურება.

ამ ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტმა შ. ბატონისაშვილმა უკვე შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა და დაზოგა ერთ ტონამდე საწვავი. ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. საშემოდგომო თესვაში დაწინაურდნენ ტრაქტორისტები ს. გელაძე და მ. ქუჯოშვილი, რომლებიც ხორბლის ჯვარედინად თესვის ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

მტს-ების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტებმა იკისრეს საშემოდგომო თესვის 25 სექტემბრამდე დამთავრება და თავიანთი მომსახურების კოლმეურნეობაში 1955 წელს ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი ხორბლის, 30 ცენტნერი სიმინდისა და 600 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღება.



გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის მე-6 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ზ. მარეხაშვილი, რომელმაც 15 სექტემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.198 პირობითი ჰექტარიდან უკვე დაამუშავა 3.100 ჰექტარი და დაზოგა 1.603 კილოგრამი საწვავი.

### შინდისის მტს-ში

რევაზ ბეჟანიშვილი შინდისის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტია. მან რვა თვეში გადამეტებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალება. გეგმით გათვალისწინებული 1.100 ჰექტარის ნაცვლად „ს-80" მარკის ტრაქტორით რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 1.359 ჰექტარი და დაზოგა რამდენიმე ასეული კილოგრამი საწვავი.

რ. ბეჟანიშვილს ეჯიბრება ტრაქტორისტი მიხეილ ზარუბა, რომელმაც 10 სექტემბრისათვის გაანაღდა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალება და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა საწვავი.

მოწინავე ტრაქტორისტები ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.



რუისის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტი ა. რუსაშვილი, რომელმაც „დტ-54" მარკის ტრაქტორით 401 ჰექტარის ნაცვლად საშემოდგომოდ მოხნა 500 ჰექტარი, დათესა 160 ჰექტარი და დაზოგა 700 კილოგრამი საწვავი.

ფოტო შ. გოქაძისა.

## რთველი მუხრანში

აქ ხელისგულივით გადაშლილა ბაღვენახიანი ვრცელი მინდვრები. შუაგულში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობაა. ამ ცენტრის ირგვლივ განლაგებულია ას ჰექტარზე მეტი ვენახი და რამდენიმე ათეული ჰექტარი ხეხილის ბაღები.

— ამ ადგილს წინათ დამპალოს უწოდებდნენ, — გვიყვება მეურნეობის ძველი მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი მელენტი გადახაბაძე, — ჭაობიან, მოუსავლიან ადგილად ითვლებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ აქ თავის სამშობლოს ჰპოვებდა ვაზის ისეთი ჯიშები, როგორიც არის ჩინური, ალიგოტე, პინო და მრავალი სხვა. ალიგოტე მეურნეობაში დამკვიდრდა 1939 წელს და ისე გაიხარა, რომ ამ ნოყიერი მიწის მკვიდრი გახდა. აგრეთვე ფართო განვითარება ჰპოვა რქაწითელმა, საფერავმა და გორულმა მწვანემ.

წელს ბაღ-ვენახები საგულდაგულოდ დაუმუშავებიათ. თვითეული ძირი ვაზი და ხეხილი დახუნძლულია ნაყოფით. რთველის პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ საშუალოდ ჰექტარზე ყურძნის მოსავლიანობამ 90 ცენტნერს გადააჭარბა. არის ისეთი ნაკვეთებიც, სადაც ჰექტარზე 110 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

ოდნავ შემაღლებულ ადგილზე უხვმოსავლიანი ვენახია. იგი მეორე ბრიგადის მეორე რგოლს ეკუთვნის. ბრიგადირის ა. ჩხუტიაშვილის და მერგოლურის ფ. კლინჩაროვის კარგი მუშაობით აქ თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

ჩინური ჯიშის ვაზი, — ამბობს ამხ. გადახაბაძე, — სათუთია, მას ყინვისა ეშინია. ამ ჯიშისათვის არ კმარა ისეთი აგროტექნიკა, როგორიც ალიგოტესა და პინოს ჯიშებისათვის არის საჭირო. იგი სერიოზულ, ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ჩინური ჯიშის ვაზი ოთხმავთულზე უნდა გაიმართოს ნაცვლად სამისა. ამავე დროს განსხვავებულია.

მეურნეობაში პირველად დააყენეს ვენახის კვადრატულ-ჯგუფურად გაშენების ცდა. ერთ ჯგუფში დარგულია ოთხი ძირი ვაზი, მეორე ჯგუფში ჩარგულია სამი ძირი, მესამეში — ორი. წარმოებს დაკვირვება, თუ რომელი ჯგუფი გაამართლებს დანიშნულებას. ასეთი წესით ვენახის გაშენება ხელსაყრელია სრული მექანიზაციის განხორციელებისათვის, რაც მუშახელისა და ხარჯის დიდ ეკონომიას მოგვცემს. ამ საკითხზე მუშაობენ ახლა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აწუხებს აქაურ მევენახეებს. ჯერ კიდევ გამომუშავებული არ არის ქმედითი ღონისძიებანი ქლოროზის ლიკვიდაციისათვის. მეცნიერ მუშაკებისაგან მოველით ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

მეურნეობის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროტექნიკის სრული კომპლექსის განხორციელებით შესაძლებელია მოვიყვანოთ ჩინურის, ალიგოტეს, პინოს, რქაწითელის, გორული მწვანეს და სხვა ჯიშების მაღალი მოსავალი. ასევე შეიძლება ითქვას ვაშლის, მსხლის, ატმის მოსავლიანობაზე. მაგრამ ამ მეურნეობის მუშაობის გამოცდილების გავრცელებას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა. კარგი იქნება, რომ ამ საკითხით დაინტერესდებოდნენ სათანადო ორგანიზაციები.

მაშინ მუხრანის ამ მადლიან მიწაზე ვენახისა და ხეხილის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უფრო ფართო, ნათელი პერსპექტივები გადაიშლება.

ნ. ჯანჯღავა.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 21 სექტემბრის ცნობებით)

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა | სექტემბრისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით |
|---|---|---|
| ბათუმის | 100,9 | 99,8 |
| ქობულეთის | 93,3 | 63,2 |
| ქედის | 125,0 | 200,0 |
| **სულ აჭარაში** | **95,2** | **69,4** |
| გალის | 90,6 | 52,5 |
| ოჩამჩირის | 91,6 | 51,2 |
| გულრიფშის | 93,2 | 50,2 |
| სოხუმის | 86,4 | 42,7 |
| გუდაუთის | 92,6 | 59,9 |
| **სულ აფხაზეთში** | **91,2** | **52,6** |
| მახარაძის | 88,7 | 49,4 |
| ჩოხატაურის | 85,8 | 41,2 |
| ლანჩხუთის | 90,6 | 55,5 |
| სამტრედიის | 65,4 | 16,9 |
| წულუკიძის | 77,4 | 23,2 |
| ქუთაისის | 73,2 | 15,1 |
| წყალტუბოს | 100,1 | 41,6 |
| ტყიბულის | 72.3 | 14,0 |
| ცხაკაიას | 76.6 | 29.8 |
| აბაშის | 69,7 | 28,5 |
| გეგეჭკორის | 84,2 | 34,7 |
| ზუგდიდის | 88,2 | 49,7 |
| წალენჯიხის | 96.8 | 73,0 |
| ჩხოროწყუს | 90,4 | 47,4 |
| ხობის | 75,1 | 26,5 |
| თერჯოლის | 53,9 | 0,1 |
| ზესტაფონის | 75,3 | — |
| **სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში** | **89,1** | **48,0** |

შენიშვნა: წალენჯიხის რაიონის ცნობები არასრულია.

# მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება

ნიადაგის მზრალად დამუშავების სისტემა მოწინავე აგროტექნიკის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ ამ ღონისძიებას, როგორც მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ მთავარ პირობას, ჩვენში განსაკუთრებული როლი ენიჭება.

მზრალად ხნული ხელს უწყობს ნიადაგში მეტი ტენის დაგროვებას და აუმჯობესებს მიწის სტრუქტურას. იგი მცენარეების მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

საბჭოთა აგრონომიული მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის გამოცდილება ცხადყოფს, თუ რა დიდი სიკეთე მოაქვს ადრეულ მზრალს, რა მნიშვნელოვნად ადიდებს იგი მოსავლიანობას გაზაფხულის ხნულთან შედარებით.

გასულ წელს კარგად შეაფასეს მზრალის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლების მძლავრი რეზერვის, მნიშვნელობა გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, მარნეულის, საგარეჯოს, ქუთაისის, წულუკიძის, ზესტაფონის და სხვა რაიონებმა. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრგან განთავისუფლებული არ იყვნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკიდან, მზრალად ხვნა რესპუბლიკაში ყინვების დადგომამდე გაგრძელდა, დავალება კი მაინც ვერ შესრულდა.

ამჟამად არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში წელს მზრალად ხვნა შედარებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. 20 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებში მზრალად მოხნული იყო 15.181 ჰექტარით მეტი ფართობი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ეს კი იმას მოწმობს, რომ ბევრგან ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა კარგად შეიგნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის მითითება იმის შესახებ, რომ მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა სისტემაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მზრალის დროულად მოხვნას. ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა ხაშურის რაიონში, რომელსაც დავალება 85,1 პროცენტით აქვს განაღდებული. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შარშან სწორედ ამ რაიონმა მზრალად ხვნის დავალება ვერ შეასრულა. ხვნაში დაწინაურდნენ წალკისა და ქარელის რაიონები, რომლებიც გასულ წელს ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მაგრამ მთელი რიგი რაიონების ადგილობრივ ორგანოებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს საჭირო დასკვნები არ გამოაქვთ გასული წლის მკაცრი გაკვეთილიდან, ხვნას აწარმოებენ ისეთი ნელი ტემპით, რომელიც სრულებით არ შეეფერება მათს განკარგულებაში არსებულ სამუშაო ძალებსა და მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ წელს მზრალად ხვნაში ჩამორჩენილთა შორის უპირატესად სწორედ ის რაიონებია (მცხეთა, ადიგენი, კასპი, დუშეთი, თელავი, ახმეტა, ბოლნისი, დმანისი), რომლებმაც შარშან ვერ შეასრულეს ამ ღონისძიების დანერგვის დავალება.

მიმდინარე წლის გეგმით რესპუბლიკაში მზრალად უნდა მოიხნას 190 ათასი ჰექტარი, აქედან მტს-ების ძალით — 172.557 ჰექტარი. სწორედ აქედან გამომდინარეობს მტს-ების დიდი პასუხისმგებლობა მზრალად ხვნის გეგმის აუცილებლად შესრულების საქმეში. რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ები, სატრაქტორო ბრიგადები, ცალკეული მექანიზატორები საქმით უპასუხებენ მტს-ების მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას და მზრალად ხვნაზე მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან, ბევრმა კიდევაც შეასრულა გეგმა. მაგრამ ეს სამუშაო ზოგან აქედანვე ჭიანურდება. მაგალითად, რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ მცხეთის მტს-ს, რომელმაც წელს გეგმით მზრალად 2.500 ჰექტარი უნდა მოხნას, 20 სექტემბრისათვის მოხნული ჰქონდა მხოლოდ 121 ჰექტარი. დაწყებული არ იყო მზრალად ხვნა ნაფარეულის, ახმეტის, აფენის, ვარდისუბნის, ქუთაისის მტს-ებში. ჩანს, ამ მტს-ების ხელმძღვანელებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ყოველგვარი მზრალი ერთნაირად სასარგებლო არ არის. რაც უფრო გვიან მოვხნავთ ნიადაგს, მით უფრო ნაკლებია მზრალის გავლენა მოსავლიანობის ამაღლებაზე.

ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ სრულად არ არის გამოყენებული მტს-ების ტექნიკა, მიღწეული არ არის მუშაობაში სათანადო ოპერატიულობა, სუსტია ბრძოლა თვითეული ტრაქტორისტის მიერ გამომუშავების ყოველდღიური ნორმის აუცილებლად შესრულებისათვის. ამას ზედ ერთვის მზრალად ხვნის სამუშაოთა უკანა პლანზე გადაწევა და მინდვრების სახნავად მომზადების დაგვიანება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაავალა 1955 წლიდან დაწყებული საგაზაფხულო კულტურები განალაგონ მხოლოდ მზრალად ხნულსა და ანეულზე. ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებაში დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ წელს ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულება.

მოწინავე მტს-ები, ცალკეული ბრიგადები და ტრაქტორისტები მზრალად ხვნაში წარმატებას აღწევენ მათს განკარგულებაში მყოფი ტექნიკის უნარიანად გამოყენებით. ამ სამუშაოსათვის მათ სპეციალურად გამოჰყვეს ტრაქტორები გარკვეული რაოდენობით, ორ ცვლად მუშაობაზე გადაიყვანეს ისინი, მოაწყეს სახნავი აგრეგატების გულმოდგინე ტექნიკური მოვლა, აღკვეთეს მანქანათა გაცდენა. მოწინავენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტრაქტორისტების მიერ ხვნის დავალებათა შესრულებას. მუშაობის ეს გამოცდილება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორთა შორის.

იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, ხვნაზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მუშა-პირუტყვი. საჭიროა სახნავ აგრეგატებს დროულად შევუქმნათ სამუშაოთა აუცილებელი ფრონტი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაგვიანოთ და უმოკლეს დროში გავათავისუფლოთ ნამჯისაგან ყველა ის ნაკვეთი, რომელზეც დაგეგმილია მზრალად ხვნა.

მზრალად ხვნის დავალებათა დაჩქარებით განაღდებასთან ერთად მუდამ უნდა გვახსოვდეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება ბევრგან ავიწყდებათ. ეს ითქმის, მაგალითად, რუისის მტს-ის ზოგიერთ მექანიზატორზე, რომლებმაც ქარელის მტს-ის მომსახურების სანებლისა და კეხიჯვრის კოლმეურნეობებს „დახმარების სახით" დაბალხარისხოვნად მოუხნეს 30 ჰექტარი ფართობი და შემდეგ ალარც კი შეეცადნენ გამოესწორებინათ ეს შეცდომა. ხვნა უნდა ვაწარმოოთ მხოლოდ წინასახნისიანი გუთნებით, სახნავი ფენის სრულ სიღრმეზე. ხვნის ერთდროულად ნიადაგში აუცილებლად უნდა შევიტანოთ მინერალური და ორგანული სასუქები. მზრალად ხვნის სამუშაოთა ხარისხის მტკიცედ დაცვა მუდამ უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, კერძოდ აგრონომიული პერსონალის ყურადღების ცენტრში.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა მზრალად ხვნის სამუშაოებისადმი, გამოიჩინონ მეტი ოპერატიულობა, მომთხოვნელობა, დაამყარონ ცოცხალი კავშირი ადგილებთან. მათივე ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს მუდმივი ზრუნვა მექანიზატორებისათვის, რომლებიც დაუღალავად შრომობენ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

## დაიწყო თამბაქოს ჩაბარება

მარნეული, 22 სექტემბერი. (საქინფორმი). რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს თამბაქოს ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

მარნეულის დამამზადებელ პუნქტს პირველად ჩააბარა სამი ტონა თამბაქო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, შულავერის დამამზადებელ პუნქტს ჩააბარეს თამბაქო მალენკოვის სახელობისა და ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებმა. ჩაბარებული თამბაქო კარგი ხარისხისაა.

# გავაძლიეროთ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა

პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ მოაწყო პროფმუშაკთა და აქტივის რესპუბლიკური თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში დიდ ნაკლოვანებათა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და „მოსახლეობაში ჯანსაღი ყოფაცხოვრების პროპაგანდის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს დადგენილებებთან დაკავშირებით. მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ამხ. ი. ჩოჩიამ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დღესდღეობით არსებითი ნაკლოვანებანი გვაქვს როგორც მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დაყენებაში, ისე ზოგიერთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხის მოგვარებაში. სუსტად არის დაყენებული ბრძოლა ამორალური ქცევის, ხულიგნობისა და ლოთობის წინააღმდეგ. თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას მტკიცე საზოგადოებრივი აზრი ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო გადმონაშთების ძირშივე მოსასპობად. ამ საქმეში მეტად დიდი როლი აკისრიათ პროფესიულ კავშირებს.

თუმცა ჩვენში ამჟამად არ არის კლასობრივი ბაზა კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობისათვის, მაგრამ ეს გადმონაშთები მაინც არსებობენ ზოგიერთი ჩვენი ადამიანის შეგნებაში. ამიტომ საჭიროა ქმედითი, ყოველდღიური ბრძოლა მშრომელთა იდეური დონის ასამაღლებლად. უნდა გაძლიერდეს საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდა.

თათბირზე გამომჟღავნებულ იქნა ისეთი სამარცხვინო ფაქტები ჩვენი მშრომელების, ინტელიგენციის ცხოვრებიდან, როგორიც არის რელიგიური რიტუალის შესრულება. მაგალითად, ზუგდიდის, ადიგენის, გურჯაანის, თელავის რაიონის სკოლის მასწავლებლებში იყო შემთხვევები, რომ მათ თავიანთი ბავშვები მონათლეს. ცხადია, ასეთი „პედაგოგები“ ცუდი მაგალითით და ქცევით ვნებას მოუტანენ ჩვენი ახალგაზრდობის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდას. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა ქცევას როგორც სკოლაში, ისე ოჯახში. მტკიცე კონტაქტი სკოლასა და ოჯახს შორის, მათი ერთი მიზნით მოქმედება ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საწინდარია.

ხულიგნობისა და ამორალური ქცევის 95 პროცენტი ლოთობის ნიადაგზე ხდება. თათბირზე დაისვა საკითხი, რომ პროფესიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა საწარმო-დაწესებულებათა მუშაკებთან ინდივიდუალური მიდგომით, დაეხმარონ მილიციის ორგანოებს მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

თათბირმა აღნიშნა, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის სრულიად არასაკმაოდ არის გამოყენებული პროპაგანდის ისეთი მძლავრი საშუალებანი, როგორიც არის პრესა, რადიო, კინო, ლექციური პროპაგანდა. ნაკლებად ეწყობოდა ლექციები მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით მეცნიერულ-ათეისტურ და საყოფაცხოვრებო თემებზე.

მეცნიერულ-პროპაგანდისტული და მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა განსაკუთრებით მოიკოჭლებს სოფლად, კერძოდ, დაშორებულ რაიონებში. ზოგ რაიონში კულტურის სახლები და კლუბები ნაკლებად იყენებენ პროპაგანდისტული მუშაობის გაშლის ყველა შესაძლებლობას, ბიბლიოთეკები არ აწყობენ წიგნების გამოფენას მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე, ხშირად ვერ იყენებენ ადგილობრივ ძალებს ლექციების წასაკითხავად და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ უაღრესად მტკივნეული საკითხების შესახებ ჩვენმა მწერლობამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ლიტერატურის რატომღაც მივიწყებული ისეთი მებრძოლი ჟანრის აღორძინებას, როგორიც არის სატირა.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს პარტიული, სამეურნეო და კომკავშირული აქტივის დახმარებით დიდი მუშაობის გაშლა მოუხდებათ თათბირზე დასახული ამოცანების წარმატებით დაძლევისათვის.

## სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოაწყო სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამდღიანი სემინარი, რომელსაც ასზე მეტი კაცი დაესწრო. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში“, „პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში“, „პოლიტექნიზაციის მნიშვნელობა“, „პარტიული ხელმძღვანელობა პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი“, „შინაპარტიული მუშაობა სკოლაში“.

სემინარის მონაწილეებისათვის წაკითხულ იქნა ლექციები: „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის შესახებ“, „საერთაშორისო მდგომარეობა“, „საბჭოთა მასწავლებლის სახე“. ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა გ. თავზიშვილმა, დოცენტმა ი. ტაბაღუამ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეებმა ამხ. მ. ზურჭულაძემ და ბ. კიზირიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ი. ბეროზაშვილმა, პარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ქ. ოტიაშვილმა და სხვებმა.

სემინარის მუშაობა შეაჯამა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა.

## წალენჯიხის რაიონში

### მუშათა დაბის კეთილმოწყობა

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა დაბაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე კლუბისა და ბიბლიოთეკის, საბავშვო ბაგისა და საექიმო პუნქტის შენობები. წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე მოთავსებულია მუშათა კოოპერატივი, მეორე სართულზე კი მეურნეობის დირექცია, პარტიული ბიურო და მუშათა კომიტეტი.

ქუჩების გაყოლებით დაირგო 10.000 ძირი დეკორაციული და წიწვიანი მცენარე. მოეწყო სტენდი და სკვერი, გუდრონირებულია მთავარი ქუჩა. მუშათა დაბა და უბნები უზრუნველყოფილია წყაროს წყლით, გაყვანილია კანალიზაცია და რადიოსატრანსლაციო ხაზი.

წლის ბოლომდე დამთავრდება 8-ბინიანი მუშათა საცხოვრებელი სახლის აგება.

### ფახულანში

ფახულანი რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. აქ აგეს მცირეძალოვანი ელექტროსადგური, რომელიც შუქს აწვდის სოფლის ცენტრს და კოლმეურნეთა ოჯახებს. მისი საშუალებით ამუშავდა ელექტროწისქვილი და სახერხი ქარხანა.

წელს სოფლის ცენტრში და ქუჩების გაყოლებით დაირგო 12.000 ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარე. ახლო მთიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ იდგმება დიდი სტალინის მონუმენტი. მონუმენტის გარშემო ყვავილნარი მოეწყობა.

### საკოლმეურნეო მშენებლობანი

სოფელ ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო ორსართულიანი შენობის აგება. პირველი სართული გათვალისწინებულია საკოლმეურნეო კლუბისა და ბიბლიოთეკისათვის, მეორე სართულზე მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

კოლმეურნეობათა კანტორებისათვის ორსართულიან შენობებს აგებენ აგრეთვე წალენჯიხის ლენინის სახელობისა და ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

### პირუტყვის ახალი სადგომები

წალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა 120 სული პირუტყვის ტევადობის სადგომის აგება.

პირუტყვის სადგომებს აგებენ ნაკიფუს სტალინის, ლიის კალინინის და საჩინოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებიც.

ა. მიქავა.

## კოლმეურნეობები ავტომანქანებს იძენენ

ტყიბული. (საკ. კორ.). მეცხოველეობის პროდუქტების ნამეტს კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ, სანაცვლოდ ავტომანქანებს იღებენ.

ახალსოფლის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ ხორცის ნამეტის დიდი რაოდენობით ჩაბარებისათვის სატვირთო ავტომანქანა მიიღო. ამჟამად ამ კოლმეურნეობას სამი სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომანქანა აქვს. სოფელ სოჩხეთის კოლმეურნეობის გარაჟში ხუთი სატვირთო ავტომანქანაა, აქედან ორი ავტომანქანა სახელმწიფომ მას ხორცის ნამეტის ჩაბარებისათვის მიჰყიდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის კოოპერაციამ ავტომანქანები მიჰყიდა აგრეთვე დაბაძველისა და ზედა ჭყეპის კოლმეურნეობებს.

# გაზეთი და მკითხველი

## „კომუნისტის“ მკითხველთა კრებებზე

ამას წინათ სოფელ კარდანახში (გურჯაანის რაიონი) გაიმართა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კრება, რომელსაც 300-მდე კაცი დაესწრო. აქ იყვნენ ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები, კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილის ამხ. ა. კოკილაშვილის მოხსენება — გაზეთსა და მკითხველებს შორის კავშირის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს გაზეთის თემატიკის მრავალფეროვნების მიღწევისა და ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

— გაზეთის მკითხველთა დღევანდელ კრებას, — განაცხადა პედაგოგმა ა. მჭედლიშვილმა, — დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენთვის, ისე „კომუნისტის“ შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. დღეს პირველად გვეძლევა საშუალება უშუალოდ აქ, ჩვენს სოფელში, გავუზიაროთ რედაქციის წარმომადგენლებს ჩვენი სურვილები იმის შესახებ, რომ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს გაზეთის თვითეული ნომერი. გაზეთში ჯერ კიდევ ცოტა იბეჭდება პროპაგანდისტული ხასიათის სტატიები, ნაკლებად შუქდება თანამედროვე სოციალისტური სოფლის საჭირბოროტო საკითხები, იშვიათად ვხვდებით მის ფურცლებზე სოფლად კულტურული მუშაობის დადებით გამოცდილებას, რომელიც იმის ბიძგს მოგვცემდა, რომ ჩვენს სოფელშიც უკეთესად მოგვეწყო კულტურულ-მასობრივი მუშაობა. „კომუნისტი“ კვლავ სუსტად ეხმარება ძირეული პრესის მუშაკებს, არ ბეჭდავს მათთვის საკონსულტაციო თემებზე საჭირო წერილებს. ჩვენ მოველით, რომ „კომუნისტის“ მუშაკთა კოლექტივი თავის შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებს ამ შენიშვნებს.

კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა ამხ. ი. ოზაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ „კომუნისტი“ ჯერ კიდევ სუსტად აშუქებს სოფლის მეურნეობის ახალ ნოვატორთა გამოცდილებას.

— განა ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, — განაგრძო ამხ. ოზაშვილმა, — რომ კვლავ იბეჭდებოდეს წერილები დღემდე უკვე საკმაოდ ცნობილ ადამიანთა შესახებ. მაგრამ გაზეთს არც ის უნდა გამორჩეს მხედველობიდან, რომ ამ ცნობილ ადამიანთა წიაღიდან გამოიზარდნენ ახალი ნოვატორები, რომელთა შესახებ ჯერჯერობით არაფერი დაწერილა. ამასთან რატომ არ შეიძლება „კომუნისტმა“ აიღოს ინიციატივა და გამოსცეს პოპულარული ბროშურები სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების შესახებ! ეს დიდად დაეხმარებოდა ჩვენს კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

„კომუნისტის“ მკითხველებმა — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ამხ. გ. ბარამაშვილმა და საექიმო უბნის გამგემ ამხ. გ. ხელაშვილმა წამოაყენეს წინადადებანი, რომ გაზეთმა უფრო მეტი ადგილი დაუთმოს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, საკოლმეურნეო წესდების დაცვის, აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საკითხების გაშუქებას, აგრეთვე სოფლის სამედიცინო მუშაკთა თავდადებული შრომის ასახვას და მათ შესახებ ნარკვევების ბეჭდვას.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. დავითაშვილი. მან დააყენა საკითხი, რომ ასეთ კრებებს არ მიეცეს კამპანიური ხასიათი, რედაქციამ უფრო განამტკიცოს კავშირი მკითხველებთან, ადგილებზე შექმნას ავტორთა აქტივი, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული გაზეთთან.

* * *

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ მეორე სვირში გაიმართა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა ხალხმრავალი კრება, რომელსაც დაესწრნენ ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები, მტს-ის მექანიზატორები, მასწავლებლები და სამედიცინო მუშაკები.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. ა. კოკილაშვილი. მომხსენებელმა ილაპარაკა მკითხველებთან და ავტორთა აქტივთან გაზეთის კავშირის განსამტკიცებლად რედაქციის მიერ გაწეულ მუშაობასა და ამ საქმეში მორიგ ამოცანებზე.

მოხსენების გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თავის სიტყვაში მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. დ. მერკვილაძემ განაცხადა:

— ამ კრებაზე ჩვენ არ შევჩერდებით „კომუნისტის“ მიღწევებზე, რომლებიც გაზეთს, უდავოა, საკმაოდ ბევრი აქვს. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ გაზეთი ჩვენი რაიონის ცხოვრებას ჯერ კიდევ მკრთალად აშუქებს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი სოფელი. მის შესახებ 1948 წლის შემდეგ „კომუნისტში“ ერთი ინფორმაციაც არ დაბეჭდილა. ჩვენს კოლმეურნეობაში გვყავს უხვი მოსავლის ოსტატი იოველ წაქაძე, რომელმაც შარშან მოსავლელად მიჩენილი ვენახის ნაკვეთიდან ჰექტარზე გადაანგარიშებით 300 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ამ ნოვატორის წარმატების შესახებ „კომუნისტში“ ინფორმაციაც არ დაბეჭდილა. სოფელს სხვა დარგშიც აქვს მიღწევები, მაგრამ გაზეთს არაფერი დაუბეჭდავს. გაზეთმა ეს ნაკლი უახლოეს მომავალში უნდა გამოასწოროს.

ამავე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ ამხ. ა. გაჩეჩილაძემ დააყენა საკითხი, რომ გაზეთმა უფრო ფართოდ გააშუქოს მოწინავე ფერმებისა და მეცხოველეების გამოცდილება. — ეს დიდად დაგვეხმარება ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, მეცხოველეობაში ახალ წარმატებათა მოპოვების საქმეში, — დაასკვნა მან.

საყურადღებო შენიშვნებით გამოვიდა აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკი ამხ. ა. სარჯველაძე.

— აგრონომიული მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის საკითხებს, — განაცხადა მან, — გაზეთი ნაკლებად აშუქებს. დღემდე „კომუნისტში“ თითქმის არც ერთი წერილი არ დაბეჭდილა საცდელი სადგურების მუშაობაზე, ამ სადგურების მუშაკთა და კოლმეურნეთა თანამეგობრობაზე. ჩვენი საცდელი სადგური მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, ეხმარება კოლმეურნეობებს ამ საქმეში. მაგრამ ეს არ კმარა. გაზეთს შეუძლია ბევრი რჩევა მოგვცეს უკეთესი მუშაობისათვის. რედაქციას ვთხოვთ თავისი საქმიანი რჩევით დაგვეხმაროს მუშაობის უკეთ მოწყობაში.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ა. ლომინაშვილი (8-წლიანი სკოლის დირექტორი), დ. თუთარაშვილი (ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი), გ. გოცირიძე (ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი, პროპაგანდისტი).

სიტყვა წარმოთქვა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ზ. კიკნაძემ, რომელმაც გაზეთისაგან მოითხოვა უფრო ვრცლად გააშუქოს მტს-ის ზონის პარტიულ მუშაკთა ჯგუფის მუშაობის გამოცდილება, ხშირად ბეჭდოს სტატიები პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად, სერიოზული ყურადღება მიაქციოს სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქებას.

## გაზეთ „სახალხო განათლების“ შემცველი გვერდი ლიტვის პედაგოგიურ გაზეთში

მიმდინარე წლის 4 აგვისტოს გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ მოათავსა ლიტვის პედაგოგიური გაზეთის „ტარიბინის მოკიტოიასის“ („საბჭოთა მასწავლებელი“) შემცველი გვერდი, რომელშიც მოთხრობილი იყო საბჭოთა ლიტვაში სახალხო განათლების აყვავების შესახებ.

გაზეთ „ტარიბინის მოკიტოიასის“ 12 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო განათლების“ შემცველი გვერდი საერთო სათაურით „მოძმე საქართველოს სკოლებში“.

გაზეთში დაბეჭდილია ო. ქინქლაძის წერილი „ერთი სკოლის კოლექტივი“, რომელშიც გაშუქებულია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მუშაობა. გ. ნადარეიშვილის კორესპონდენცია „კულტურის კერა სოფლად“ მიძღვნილია აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი. შ. შენგელის წერილი „ორი სკოლა ერთ ფაბრიკაში“ მკითხველს აცნობს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდას. შემცველ გვერდში დაბეჭდილია აგრეთვე გ. ალავერდაშვილის კორესპონდენცია „პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში“ და შ. ბერიანიძის წერილი „თბილისის პიონერთა სასახლე“.

## კარგად დაწყებული, შემდეგ თავმინებებული საქმე

ხაშური რკინიგზის ერთ-ერთი დიდი საკვანძო სადგურია. აქ თავმოყრილია მნიშვნელოვანი სარკინიგზო საწარმოები და ობიექტები. დიდია სადგურ ხაშურის გამტარუნარიანობა. განსაკუთრებით ზაფხულობით ასეულ ათასობით მგზავრს ატარებს იგი საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისაკენ.

ახლა, როცა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით მეტ წილ სოფელ ადგილებშიც კი გახსნილია საავადმყოფოები, ასეთ დიდ სარკინიგზო კვანძს მით უფრო უნდა ჰქონდეს თავისი საავადმყოფო.

აღნიშნული საკითხი უკანასკნელ დროს დადებითად გადაიჭრა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მხარდაჭერით გზის საექიმო-სასანიტარო სამსახურმა მიაღწია ქ. ხაშურში საავადმყოფოსათვის შენობის გამონახვას. გათვალისწინებული იყო შენობის გადაკეთება და მიმდინარე წლის დეკემბრისათვის მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა. გამოიყო საჭირო თანხები. პირველ ხანებში კარგად მიდიოდა შენობის გადასაკეთებელი სამუშაოები, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ტემპი რატომღაც შენელდა. არ არის საკმაო მასალები, მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია.

საჭიროა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტმა (უფროსი ამხ. კადომცევი) დააჩქაროს შენობის რეკონსტრუქციის საქმე, რომ ხაშურს გათვალისწინებულ დროზე — დეკემბრისათვის ექნეს რკინიგზის საავადმყოფო.

კ. მარუაშვილი,
ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სასანიტარო სამსახურის მე-9 საექიმო უბნის უფროსი.

# მომზადებული შევხვდეთ პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის დაწყებას

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას, ყველა დარგის კადრების შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერებით.

პარტიულ განათლებაში მთავარია მისი იდეური შინაარსი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებსა და მითითებებში მოითხოვს ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი კომუნისტებს შემოქმედებითად შეისწავლონ მარქსიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების არსი.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში გასულ სასწავლო წელს ქალაქ ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად წარმატებებისა გასულ სასწავლო წელს თავიდან ვერ ავიცილეთ პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ელემენტები — ზოგჯერ იყო ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის ფაქტები, გათვალისწინებული არ იყო მსმენელის თეორიული მომზადების დონე. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მსურველთ ზოგჯერ აძალებდნენ წრეებში გაერთიანებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროპაგანდისტთა კადრებთან ნაყოფიერი მუშაობა მოეწყო, მაინც ვხვდებოდით პარტიული განათლების ქსელის წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობაში მედავითნეობას, დოგმატიზმს და მეცადინეობისადმი სკოლარულ მიდგომას. ზოგიერთი თეორიული სემინარი წრეს უფრო ჰგავდა იმის გამო, რომ პროპაგანდისტი მას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით აგვისტოში პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირი, პროპაგანდისტთა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსები გაიარა 5 კაცმა.

მიმდინარე წელს მტკიცედ იქნა დაცული პარტიული განათლების სისტემის დაკომპლექტებაში ნებაყოფლობის პრინციპი, შემცირდა წრეებისა და თეორიული სემინარების რიცხვი. კომუნისტთა და უპარტიო აქტივის დიდმა უმრავლესობამ, რომელსაც სათანადო პოლიტიკური მომზადება აქვს, დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გამოთქვა. საქალაქო კომიტეტის ჩარევით გამოსწორებულ იქნა აბრეშუმკომბინატის პარტიული კომიტეტის მიერ დაშვებული შეცდომები პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის დაკომპლექტებაში. აქ ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომა გამოიჩინეს, შეეცადნენ იმ წრეში, რომელიც პარტიის ისტორიის შესწავლას სახელმძღვანელოს VII თავიდან განაგრძობს, ჩაერიცხათ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ჯერ წრეში არ ყოფილან და ამიტომ სურთ პარტიის ისტორიის შესწავლაზე თავიდან იმუშაონ.

ჩვენი პარტიის დამაარსებელი დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ ყოველი „კონტროლი“, ყოველი „ხელმძღვანელობა“, ყოველი „პროგრამა“ ფუჭი სიტყვაა, თუ პროპაგანდისტთა (ლექტორთა) შემადგენლობა არ ვარგა. ამიტომ პროპაგანდისტთა შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პროპაგანდისტებად და კონსულტანტებად შერჩეულ და საქალაქო კომიტეტის ბიუროზე დამტკიცებულ იქნენ იდეურ-თეორიულად მომზადებული, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებისა და სურვილის მქონე უნარიანი ამხანაგები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით პროპაგანდისტებთან მოეწყო თათბირები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, მათ რჩევა მიეცათ, როგორ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის, მიეთითათ გარდა პარტიის ისტორიის მოკლე კურსისა, ლენინისა და სტალინის რა ნაწარმოებები, პარტიის ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის რომელი პლენუმების გადაწყვეტილებები წაეკითხათ ცალკეული თავების მიხედვით. უდავოა, რომ პროპაგანდისტს მაშინ შეუძლია ღრმად, გასაგებად და დამაინტერესებლად ახსნას ახალი მასალა, თუ წაკითხული ექნება და ეცოდინება არა მარტო პარტიის ისტორიის მოკლე კურსი, არამედ მისი წყაროები და დამხმარე მასალაც.

პროპაგანდისტებს განემარტათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცადინეობის საინტერესოდ მოწყობისათვის მხატვრული ლიტერატურის გამოყენებას. წრეებსა და სკოლებში მხატვრული ლიტერატურის ოსტატურად გამოყენება არა მარტო საინტერესოს გახდის მეცადინეობას, არამედ სასარგებლოა მსმენელთა საერთო განათლების ჰორიზონტის გასაფართოებლადაც.

ამ მხრივ ახალი სასწავლო წლისათვის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად კარგად მოემზადნენ პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის (სწავლების II წელი) პროპაგანდისტები შ. გურესაშვილი (საავტომობილო ქარხანა), ა. მაღლაკელიძე (აბრეშუმის კომბინატი), შ. სურგულაძე (მუსიკალური სასწავლებელი) და სხვები, რომლებმაც მხატვრული ნაწარმოებებიდან ამოარჩიეს პარტიის ისტორიის მოკლე კურსის ცალკეული თავებისა და პარაგრაფების შესატყვისი ადგილები. მათ განზრახული აქვთ ახალ სასწავლო წელს სხვა მხატვრულ ნაწარმოებთა შორის გამოიყენონ მ. გორკის „დედა“, დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ნ. ნიკიტინის „ჩრდილოეთის ავრორა“, ა. ფადეევის „განადგურება“ და „ახალგაზრდა გვარდია“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ და სხვ.

პროპაგანდისტთა სემინარები უკვე შეუდგნენ მუშაობას. მათ მოისმინეს მოხსენება პარტიული განათლების წრეებისა და სკოლების მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის ამაღლების შესახებ. სემინარებზე ფართოდ იქნება გამოყენებული გასული წლის გამოცდილება, დიდი ადგილი დაეთმობა პარტიული სწავლების მეთოდიკის საკითხებს. სისტემატურად მოეწყობა პროპაგანდისტთა ურთიერთდასწრება და გამოცდილების განზოგადოება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თეორიის სწავლების დაკავშირებას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან, ფართოდ დაინერგება პროპაგანდისტების მიერ რეფერატების შედგენა და სემინარებზე შემოქმედებითად განხილვა.

გათვალისწინებულია, რომ პროპაგანდისტთა სემინარებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი ქალაქის მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები. ამით ხელს შევუწყობთ პროპაგანდისტებს იმაში, რომ უფრო ღრმად გაერკვნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უახლეს მიღწევებში და ეს ცოდნა ოსტატურად გამოიყენონ მეცადინეობის მიზნიდველად, შემოქმედებითად ჩატარებისათვის.

1 სექტემბერს მეცადინეობას ორგანიზებულად შეუდგა პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. პირველი კურსის ქართულ და რუსულ განყოფილებებზე ნებაყოფლობის პრინციპის სრული დაცვით ჩაირიცხა 100 ამხანაგი. ამჟამად უნივერსიტეტში მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ეუფლება I, II და III კურსის 328 მსმენელი. მათ შორის არიან ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები და სხვა პროფესიის მუშაკები. წელს III კურსზე პირველად წაიკითხება ახალი საგანი „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა“.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს იმ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის დასახმარებლად, რომლებმაც ისურვეს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებელი კითხვით. მათი რიცხვი კი ერთიორად გაიზარდა. შერჩეული და დამტკიცებული არიან კონსულტანტები. საქალაქო კომიტეტის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყობა კვალიფიციურ კონსულტანტთა მორიგეობა. შტატგარეშე მუშაკების ფართოდ გამოყენებით შედგება ბიბლიოგრაფიული სიები თემების მიხედვით და მოეწყობა ლიტერატურის თემატური გამოფენები. პარტიულ ბიბლიოთეკაში წელს დამატებით გამოიყო დამოუკიდებელ მომუშავეთათვის ორი კარგად მოწყობილი სამეცადინო ოთახი. ოქტომბრის პირველ დღეებში გათვალისწინებულია დამოუკიდებლად მომუშავეთათვის მოეწყოს მოხსენებები და საუბრები შემდეგ თემებზე: „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამოცდილება წიგნზე მუშაობის შესახებ“, „როგორ შევადგინოთ თეორიის საკითხებზე კონსპექტი, თეზისები, რეფერატი და მოხსენება“ და სხვ.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა ღონისძიება ახალ სასწავლო წელს ლექტორთა ჯგუფისა და ლექტორიუმის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მოეწყო შტატგარეშე ლექტორთა საქალაქო თათბირი, მიძღვნილი ლექციური პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისადმი.

ლექტორთა ჯგუფი შეივსო შტატგარეშე ლექტორებით. ნაყოფიერად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის ლექტორთა ჯგუფთან შექმნილი მუდმივი სექციები (პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, საერთაშორისო მდგომარეობის და მიმდინარე მომენტისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა). სექციების ხელმძღვანელებად უმაღლესი სასწავლებლების მოწინავე მეცნიერი მუშაკები მუშაობენ. პირველ სხდომაზე ლექტორებს შორის განაწილდა ლექციების თემები. მორიგი სხდომები მიეძღვნება მათ განხილვა-დამტკიცებას. ლექტორთა ჯგუფის მიერ დამზადებული კვალიფიციური ლექციებიდან საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმსა და მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში წაკითხულ იქნება ლექციების ციკლები პარტიის ისტორიაში, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში. მზადდება ლექციები შემდეგ თემებზე: „რელიგიის წარმოშობა და მისი კლასობრივი ხასიათი“, „მეცნიერების დაპირისპირებულობა რელიგიასთან“, „მეცნიერება და რელიგია სამყაროს აგებულების შესახებ“, „მეცნიერება და რელიგია ადამიანის წარმოშობის შესახებ“, „ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში“ და სხვ. მომზადდა და ლექტორიუმში ჩატარდა ლექტორ ი. ბერძულის ლექცია თემაზე: „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის შესახებ“. ანტირელიგიურ თემებზე ლექციებს სისტემატურად აწყობენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ლექტორთა ჯგუფი. ეწყობა ლექციები ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვ.

საქალაქო კომიტეტს განზრახული აქვს შეისწავლოს წრეებისა და პოლიტსკოლების პირველი და მეორე მეცადინეობა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პროპაგანდისტთა გამოყენებით, რათა მეცადინეობის პირველი დღეებიდანვე გამოვავლინოთ და გამოვასწოროთ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და ამით თავიდანვე ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი კომუნისტთა პარტიული განათლების კარგად დაყენებას.

რ. ჯინჯოლია,
საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

### საშემოდგომო ხვნა-თესვა

# სერიოზული ნაკლოვანებანი ახმეტის მტს-ში

მდინარე ილტოს მარჯვენა მხარეს მდებარე ნოყიერი მიწები ახმეტის კოლმეურნეობა „პირველ მაისს" ეკუთვნის. აქ ყოველთვის შესაძლებელი იყო პურის უხვი მოსავლის მიღება, მაგრამ წინა წლებში ნიადაგს სათანადოდ არ ამუშავებდნენ. თესვას ნოემბრის ბოლომდე აჭიანურებდნენ და ამის გამო სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ. ახმეტის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ივანე ნადირაშვილი ხელმძღვანელობს, წელს მთელი მონდომებით მუშაობს. გეგმით 540 ჰექტარი უნდა მოეხნა, ფაქტიურად 580 ჰექტარი მოხნა 22 სანტიმეტრ და უფრო მეტ სიღრმეზე. აქ ხარვეზებს ვერ შეხვდებით. ტრაქტორისტები გ. ნადირაშვილი, ე. გიგაური, გ. ხოხობაშვილი ხვნის დამთავრებისთანავე ნიადაგის მოსწორებას და გაფხვიერებას შეუდგნენ.

ბრიგადის კუთვნილი 4 სათესი მან- [illegible]

„დტ-54" მარკის № 41 ტრაქტორს რემონტის დროს მაღალი წნევის უვარგისი ტუმბო „მოარგეს". ამის გამო მანქანამ საშემოდგომო ხვნის ტემპს ვეღარ გაუძლო და 8 სექტემბერს ხანგრძლივი ვადით გაჩერდა.

მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადაში პროგრესული წესით თესვას უგულებელყოფენ. ბრიგადის მიერ დათესილი 120 ჰექტარიდან არც ერთი ჰექტარი ჯვარედინად ნათესი არ არის. „საამისო ნაკვეთები არა გვაქვს", — აცხადებენ ტრაქტორისტები.

მერვე სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი პ. მეზვრიშვილი) ცუდი მუშაობით არის გამოწვეული, რომ პანკისის ხეობის კოლმეურნეობები ხვნაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. ლეის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 300 ჰექტარიდან დღემდე 147 ჰექტარი მოხნა. ყვარელწყლის, დუმასტურის, ხალაწნის კოლმეურნეობებს სათესი ფართობის ნახევარიც არა აქვთ მოხნული. კიდევ უფრო ჩამორჩენილია ჯოყოლოს კოლმეურნეობა.

ზოგან ტრაქტორები ცდება ტრაქტორისტების უყოლობის გამო. მესამე ბრიგადაში, რომელიც ქისტაურის კოლმეურნეობას ემსახურება, „სტზ-ნატის" მარკის № 8 ტრაქტორს ამ მიზეზით 8 სექტემბრის შემდეგ აღარ [illegible]

სავლის აღების პერიოდში მინდვრად დადგმული „ურაკაის" ტიპის რადიოძიმლები არ მუშაობდა. გაზეთმა „კომუნისტმა" ამის გამო მტს-ის დირექცია გააკრიტიკა. დირექტორმა ცქიფურიშვილმა ეს იწყინა და დაწერა:

„იმის გამო, რომ ურაკაის რადიოსადგურების მუშაობა არ სწარმოებს სატრაქტორო ბრიგადებში ბინების უქონლობისა და სხვა არახელსაყრელი პირობების გამო და როგორც რადიოტექნიკოსი ისე დისპეტჩერი საქმის გარეშე არიან, გათავისუფლდნენ სამუშაოდან ამა წლის 22 აგვისტოდან რადიოტექნიკოსი კახაშვილი შოთა ივანეს-ძე და დისპეტჩერი ვარა გიორგის ასული ბაჩიაშვილი. ვავალებ კახაშვილს წესრიგში მოიყვანოს მთელი რადიომოწყობილობის ყველა აგრეგატები და დეტალები და უზრუნველყოს მისი საწყობში წესიერი შენახვა" (ტექსტი დაცულია. ს. ქ.).

ამრიგად, ცქიფურიშვილმა „გამოსავალი" იპოვნა, სადისპეტჩერო სამსახური კალმის ერთი მოსმით გააუქმა.

მუშაობას ისიც აფერხებს, რომ მტს-ის აპარატში მუდმივი კინკლაობაა. სახელოსნოს გამგეს ამხ. გ. რუხაძეს, რომელიც თბილისიდან თავისი სურვილით გაემგზავრა მტს-ში, ტრაქტორისტები და ბრიგადირები მუშაობას უწონებენ. ეს გასაგებიც არის. იგი მთელი მონდომებით მუშაობს. მაგრამ მტს-ის [illegible] ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს.

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ჩინეთი სახალხო დღესასწაულის წინ



ძველი ჩინეთის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა დაახლოებით ათ პროცენტს შეადგენდა, ამასთან სამრეწველო წარმოებაში მეტი ადგილი მსუბუქ მრეწველობას ეკავა. 1954 წელს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მთელი პროდუქციის 60 პროცენტს შეადგენს.

მრეწველობის ყველაზე მსხვილი საწარმოების საერთო-სახალხო საკუთრებად გადასვლამ შექმნა წინასწარი პირობები ქვეყნის სწრაფი აღდგენისათვის, კერძოდ წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის მიერ ახალი ჩინეთისათვის გაწეულმა ნამდვილად უანგარო დახმარებამ დააჩქარა რესპუბლიკის აღდგენა და განვითარება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მეტალურგიული საწარმოა ანშანის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც მუკდენიდან 90 კილომეტრზეა.

**სურათზე:** ანშანის მეტალურგიული კომბინატის რელსსაგლინავი საამქრო.

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 21 სექტემბერი, (საკდესი). დაამტკიცა რა გუშინდელ სხდომაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია და მიიღო რა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების საორგანიზაციო სტატუტი, სრულიად ჩინეთის პირველი მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია დღეს მუშაობას განაგრძობდა.

დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა დეპუტატი გო მო-ჟო.

დეპუტატებმა მოიწონეს და ერთხმად მიიღეს ოთხი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებისა და სახალხო პროკურატურის, აგრეთვე სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებებისა და ყველა საფეხურის ადგილობრივი სახალხო კომიტეტების ორგანიზაციულ სტრუქტურას, რწმუნებებსა და ფუნქციებს.

შემდეგ ქვეყნდება მისალმებანი, რომლებიც სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას გამოუგზავნეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა და ბულგარეთის ეროვნული კრების პრეზიდიუმმა.

ამით მთავრდება დღევანდელი სხდომა. თავმჯდომარე აცხადებს, რომ 22 სექტემბერი სესიის დასვენების დღეა. 23 სექტემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

## გაზეთი „ჟენმინჟიბაო" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ

პეკინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ცნობამ იმის შესახებ, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, ჩინელი ხალხის ყველა ფენა აღტაცებით შეხვდა.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში — „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია ჩინელი ხალხის მძლავრი იარაღია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში" წერს:

გამოხატავს რა 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის ნებას, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველმა სესიამ გუშინ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც იმ გამარჯვებათა ნაყოფია, რაც მოიპოვა ხალხმა ხანგრძლივ რევოლუციურ ბრძოლაში. იგი იმ წარმატებათა შედეგია, რომლებსაც მიაღწია ხალხმა სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდგომ წლებში.

ჩინელი ხალხის ფართო მასები, აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო", ამ წლების მანძილზე თავიანთი გამოცდილებით ღრმად დარწმუნდნენ სოციალიზმის უპირატესობაში. ახლა მათ უკვე აღარ აკმაყოფილებთ ის სარგებლობა, რომელსაც იღებდნენ აგრარული რეფორმისა და სხვა დემოკრატიულ გარდაქმნათა შედეგად. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ მსხვილი სოციალისტური მეურნეობის ბაზაზე შეიქმნას ისეთივე ბედნიერი ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, მოითხოვენ სოციალისტური საზოგადოების აშენებას. სოციალიზმის აშენება მთელი ჩვენი ხალხის საერთო მისწრაფება და მთავარი მიზანი გახდა.

## უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია მუშაობას განაგრძობდა.

სახელმწიფო კრებამ დაამტკიცა კანონპროექტი კონსტიტუციაში მთელ რიგ დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

შემდეგ სესიამ მოისმინა მოხსენება საბჭოების შესახებ ახალ კანონპროექტზე და დაიწყო კამათი ამ მოხსენების გამო.

## პრესის დღე ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიაში აღნიშნავენ პრესის დღეს. ამ დღეს 34 წლის წინათ გამოვიდა გაზეთ „რუდე პრავოს" პირველი ნომერი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გახდა.

პრესის დღესთან დაკავშირებით პრაღაში 19 სექტემბერს გაიმართა პრესის მუშაკთა და მშრომელთა სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის პარტიულმა აქტივმა მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

პრესის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „რუდე პრავოს" მთავარმა რედაქტორმა ვოიტეხ დოლეიშიმ. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით ჩეხოსლოვაკიის პრესის მუშაკებს მიესალმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე პ. ი. პრონინი.

სხდომაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაცლავ პაშეკი, რომელმაც დაწვრილებით შეეხო პრესის მუშაკთა ამოცანებს.

პრესის დღის გამო იულიუს ფუჩიკის სახელობის პარკში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა „რუდე პრავოს" საბრძოლო გზას გაზეთის დაარსების მომენტიდან.

## პოლონეთში შენდება წყალსაცავი „გოჩალკოვიცე"

ვარშავა, 21 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის სილეზიის სამხრეთ ნაწილში, 60 კილომეტრზე იმ ადგილიდან, სადაც ვისლის სათავე იწყება, გაჩაღდა პოლონეთის ექვსწლედის უდიდესი ობიექტის მშენებლობა. აქ შენდება უზარმაზარი წყალსაცავი „გოჩალკოვიცე", რომელიც 3.200 ჰექტარ ფართობს დაიკავებს.

წყალსაცავი თითქმის სავსებით გადაწყვეტს სილეზიის წყლით მომარაგების პრობლემას და ვისლის სანაპირო რაიონებს გადაარჩენს წყალდიდობისა და წყლით წალეკვისაგან.

წყალსაცავის გრუნტი უკვე მთლიანად მომზადებულია. მთავრდება 3 კილომეტრი სიგრძისა და 17 მეტრი სიმაღლის კაშხალის, სამი სატუმბავი სადგურის, საწმენდი სადგურისა და დამხმარე ნაგებობათა, ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა.

მომავალი წლის დამდეგს წყალსაცავი „გოჩალკოვიცე" ნაწილობრივ ჩადგება მწყობრში.

## კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამუშავდა ახალი სამრეწველო საწარმო

ფხენიანი, 21 სექტემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სონჩხონში (სამხრეთ ფხენანის პროვინცია) ამუშავდა გამამდიდრებელი ფაბრიკა.

ამ ფაბრიკის მშენებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში ფერადი ლითონების წარმოების განვითარებისათვის, 14 თვის წინათ დაიწყო.

გამამდიდრებელი ფაბრიკის ამუშავება კორეელი ხალხის ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა სამწლიანი გეგმის პირველ წელს.

# ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გრანდიოზული პროგრამა დასახეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებმა საყოველთაო-სახალხო მოწონება ჰპოვეს და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს მუშებში, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციაში. საბჭოთა ხალხი დაუცხრომელ შრომას ეწევა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიადი პროგრამის განსახორციელებლად.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის და ახლა იგი პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული პარტიის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად. ამჟამად კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

სერიოზული მუშაობაა გაშლილი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ბინების მშენებლობისა და სადაზღვევო საკვები ფონდით ფერმების მომარაგებისათვის.

შარშან მეცხვარეობის ფერმები მოუმზადებელი შეხვდნენ ზამთარს. ფარეხები სათანადოდ არ იყო შეკეთებული, შექმნილი არ იყო თივისა და უხეში საკვების საჭირო სადაზღვევო მარაგი.

კოლმეურნეობებმა მწარე გაკვეთილი მიიღეს გასული წლის ზამთარში და ამჟამად ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ სათანადოდ მოემზადონ ცხვრის გამოზამთრებისათვის.

საზამთრო საძოვრებზე ცხვრის მოვლა-შენახვის სწორი ორგანიზაციისათვის, გარდა საძოვრების წესიერად გამოყენებისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცხვრის ბინების დროულად მოწყობას და საკვების სადაზღვევო ფონდით ფერმების მომარაგებას.

იმ რაიონების კოლმეურნეობების უმრავლესობამ, რომლებიც ყიზლარის ზამთრის საძოვრებით სარგებლობენ, საძოვრებზე საჭირო სეზონური მუშაობების შესრულებისათვის დროულად გამოჰყვეს სათანადო კვალიფიკაციის კოლმეურნეები და მათგან შექმნეს გარკვეული დავალების მქონე საწარმოო ბრიგადები საზამთრო საძოვრებზე ბინების მშენებლობა-შეკეთებისა და თივის დამზადებისათვის.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, საზამთრო საძოვრებზე მყოფ ყოველ ერთ სულ ცხვარზე კოლმეურნეობებს დამზადებული უნდა ჰქონდეთ 1,5 ცენტნერი უხეში საკვები. ეს ითვლება სადაზღვევო ფონდად, რომლის ხარჯვა კოლმეურნეობებმა უნდა აწარმოონ უამინდობის შემთხვევაში.

წელს ბალახი არაჩვეულებრივად უხვად მოვიდა ყიზლარის საძოვრებზე. კასპიის ზღვის სანაპიროდან დაწყებული ნოღაის ველზე, ბაკრესში, ბაჯიგანზე, ათასობით კილომეტრზე გაშლილ თვალუწვდენ ველებზე ზღვასავით ღელავს ნოყიერი ბალახი.

მრავალმა კოლმეურნეობამ საუკეთესოდ გამოიყენა მიმდინარე წლის შესანიშნავი პირობები და დროულად შეუდგა საკვების დამზადებას. საკვების დამზადებაში კოლმეურნეობებისადმი დახმარება გააძლიერა საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურმა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს თივის დამზადების გეგმა. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. თივის დამზადებაში ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ახმეტის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონები. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობები მარტო თივის დამზადებით დაკმაყოფილდნენ და შეუწყნარებელი ნელი ტემპით აწარმოებენ მწყემსების საცხოვრებელი ბინების და ცხვრის ფარეხების მშენებლობასა და რემონტს.

ზამთრისათვის მზადების კარგი მაგალითი გვიჩვენეს დუშეთის რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. სოფელ მთიულეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ბუჩუკური, ფერმის გამგე ა. კეკიშვილი) გადაჭარბებით შეასრულა თივის დამზადების გეგმა, ააგო მწყემსების საცხოვრებელი ორი ბინა და ცხვრის ერთი ფარეხი.

სოფელ ჯულის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ბუჩუკური) აგრეთვე გადაჭარბებით შეასრულა თივის დამზადების გეგმა და ამჟამად ბინებს აშენებს. კარგად მუშაობენ სოფლების საშაბუროს, მლეთის, ხორხის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ამ რაიონის კოლმეურნეობებიდან ჩამორჩება სოფელ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე პ. მისრიაშვილი). მას ჯერაც არ დაუწყია ბინების მშენებლობა.

ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე წელს გაჩაღებულია დიდი მუშაობა მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მრავალმა კოლმეურნეობამ უკვე ააგო მწყემსთა საცხოვრებელი სახლები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან თიანეთის რაიონის კოლმეურნეობები. მათ მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლებში მოწყობილია პურის საცხობი, სამზარეულო, სასადილო, მწყემსების დასაძინებელი ოთახი, ფერმის გამგის ოთახი და ოთახი წითელი კუთხისათვის. ასევე კარგ საცხოვრებელ ბინებს აშენებენ ახმეტის რაიონის კოლმეურნეობები რაიონი გეგმით გათვალისწინებული 16 ფარეხის ნაცვლად 27 ახალ ფარეხს აშენებს.

ბინების მშენებლობისა და რემონტის საქმეში ჩამორჩებიან ყაზბეგისა და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობები. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე დამზადებული თივის მიზიდვა ბინებთან ყაზბეგისა და თიანეთის კოლმეურნეობებში. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება იმისათვის, რომ დამზადებული საკვები დროულად იქნას მიზიდული ყველა ბინასთან და ზვინებად დაიდგას სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე, ამასთან განხორციელდეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. აუცილებელია თივის ზვინები შემოიღობოს და დაცულ იქნას განიავებისაგან.

საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ჯანსაღად შენახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყულებლების კეთილმოწყობას. ყიზლარის საძოვრებზე არტეზიული ჭების წყლით სარგებლობენ. წელს საძოვრებზე გათხრილია 12 არტეზიული ჭა. საჭიროა ჭებთან მოეწყოს საკმაო სიგრძის გეჯები.

რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულონ სადაზღვევო მარაგის შექმნისა და ბინების მშენებლობის გეგმა ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე.

წელს ჩორნი რინოკში შენდება 35-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც ნოემბრის პირველ რიცხვებისათვის გაიხსნება. 15-საწოლიანი საავადმყოფო შენდება აგრეთვე ბაჯიგანში.

გადაწყვეტილია, რომ წელს მუდმივი რადიოკავშირი დამყარდეს ყიზლარის საზამთრო საძოვრებთან.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ღრმად შეიგნონ მთელი პასუხისმგებლობა საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის საკვებით მომარაგების საქმეში და ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ სახელმწიფო გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საზამთრო საძოვრების ნაკვეთებზე უზრუნველყოს საჭირო რაოდენობით თივისა და სხვა უხეში საკვების, სადაზღვევო მარაგის შექმნა, ხოლო სათიბების ნაკლებობისას მოაწყოს თავის დროზე შეზიდვა, როგორც წესი, დაწნეხილი სახით, და ეს მარაგი გაანაწილოს ზამთრის საძოვრების ნაკვეთებზე პირუტყვის განლაგების გათვალისწინებით.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა წინასწარ უნდა იზრუნონ ზამთრის საძოვრებზე საკვებით, წყლით, სადგომებით, აგრეთვე ვეტერინარული მომსახურებით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის".

შემდგომი ორგანოების დადგენილებით ყიზლარის ზამთრის საძოვრები ხანგრძლივ სარგებლობაში მიემაგრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, დუშეთის, ყაზბეგის, ახმეტის და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებს, სადაც მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. დასახელებული რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ გამოიყენონ ეს საძოვრები მხოლოდ ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობისათვის. ეს სერიოზული დავალებაა. ყველაფერი, უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს საპატიო ამოცანა წარმატებით გადაიჭრას.

წლების მანძილზე ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მომთაბარე მწყემსებსა და ფერმების მუშაკებს შორის არავითარი სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა არ წარმოებდა.

საზამთრო საძოვრებზე ვერ იღებდნენ ჟურნალ-გაზეთებს, არ ეწყობოდა ლექცია-მოხსენებები და აგიტატორთა საუბრები, კინოფილმების ჩვენებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველო (უფროსი ი. ახვლედიანი), მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება (ამხ. დ. ენუქიძე) საზამთრო საძოვრებზე იშვიათად აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ჩორნი რინოკში აქვს კლუბი და ბიბლიოთეკა, რომელთა მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. კლუბი მოუწყობელია (გამგე ი. ხუციშვილი), ხოლო ბიბლიოთეკა შევსებული არ არის საჭირო წიგნებით. კულტურის სამინისტროს მუშაკთა ბიუროკრატიზმითა და გულგრილობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკაში ვერ ნახავთ წიგნს სოფლის მეურნეობაზე, მეცხვარეობაზე. სამაგიეროდ აქ გვხვდება ასეთი წიგნები: ა. ზურაბაშვილი — „ფსიქიატრია", (სახელმძღვანელო სტუდენტთა და ექიმებისათვის), ივ. ნიჟარაძე — „ძველი ბერძნული ენის სახელმძღვანელო", ა. ლეკიაშვილი — „არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები", „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი" და სხვ.

კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს იქნებ ჰგონიათ, რომ საზამთრო საძოვრებზე მწყემსები ბერძნულ და არაბულ ენებს სწავლობენ.

ცუდად მუშაობენ ცეკავშირის სპეცსაცალო ვაჭრობის მაღაზიები ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. მაღაზიებში პირველი საჭიროების მოხმარების საგნებს ვერ იშოვნით.

წელს 26 ივლისს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გაგზავნა ერთი მოძრავი კინოდანადგარი. ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა უბანზე მოეწყო 37 კინოსეანსი.

საჭიროა საზამთრო საძოვრებზე სისტემატურად გაიგზავნოს კულტმუშაკთა ჯგუფი მწყემსთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. უნდა მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფილ იქნას ის სათანადო ლიტერატურით. საჭიროა საკოლმეურნეო ფერმებში მოეწყოს წითელი კუთხე.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვის წინ პარტიის რაიკომებმა უნდა გამოჰყონ ფერმებში პარტჯგუფორგები მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოსაწყობად.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საუკეთესოდ გამოაზამთრონ პირუტყვი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე.

**ნ. შველიძე.**

ყიზლარის საზამთრო საძოვრები, სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარსელ კაშენის დაბადების 85 წლისთავის გამო

პარიზი, 21 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ გუშინ აღნიშნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის უხუცესი მოღვაწის მარსელ კაშენის დაბადების 85 წლისთავი.

გუშინ გაიმართა ზეიმი იუბილარის პატივსაცემად. მას მიესალმნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ფრანგ ქალთა კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის, საფრანგეთის ქალიშვილთა კავშირის, მშვიდობის ეროვნული საბჭოს და სხვა პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფრანსუა ბიიუმ.

ბიიუმ განაცხადა, რომ კაშენმა თავისი სიცოცხლის 63 წელიწადი მთანდომა რევოლუციურ ბრძოლას. 1920 წელს იგი მეთაურობდა საფრანგეთის წინანდელი სოციალისტური პარტიის უმრავლესობას, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტურ პარტიად გარდაქმნის შესახებ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მარსელ კაშენი დაუცხრომლად იბრძოდა საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის. ამჟამად კაშენი, როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და გაზეთ „ლუმანიტეს" დირექტორი, აქტიურ ბრძოლას ეწევა საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის დასაცავად, თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბონელი რევანშისტების შეიარაღების წინააღმდეგ, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

კაშენმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს პატივისა და ყურადღებისათვის და საპასუხო სიტყვით მოუწოდა მათ გააორკეცონ ღონისძიებანი კაპიტალისტური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, სამშობლოს მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

## დაიხურა იზმირის საერთაშორისო ბაზრობა

იზმირი, 22 სექტემბერი. (საკდესი). 21 სექტემბერს დაიხურა იზმირის 23-ე საერთაშორისო ბაზრობა. საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა თურქეთის პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა, რომელსაც შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი თურქეთში პოდცეროზი და საბჭოთა პავილიონის დირექტორი რიბალჩენკო.

პრეზიდენტი ყურადღებით გაეცნო პავილიონის ექსპონატებს, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი.

წელს იზმირის ბაზრობაში მონაწილეობა მიიღო 17 სახელმწიფომ, მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა, პოლონეთმა, იტალიამ, უნგრეთმა და სხვებმა. თურქეთის გაზეთების ცნობით, ბაზრობა ერთი თვის განმავლობაში ნახა მილიონნახევარზე მეტმა კაცმა. ბაზრობის მნახველთა 80-მდე პროცენტი სსრ კავშირის პავილიონში იყო.

საბჭოთა კავშირის საქონელმა მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია თურქეთის სავაჭრო წრეებში. პავილიონის დირექციაში შევიდა თურქეთის ფირმების მრავალი განაცხადი საბჭოთა საქონელზე.

## ინდონეზიის პრემიერ-მინისტრი ინდოეთს გაემგზავრა

ჯაკარტა, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის პრემიერ-მინისტრი ალი სასტროამიჯოიო დელში გაემგზავრა. პრესა იუწყება, რომ სასტროამიჯოიოს გამგზავრება უკავშირდება ინდონეზიის საზოგადოებრიობის ფართო წრეების შეშფოთებას, რაც გამოიწვია იმან, რომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის შესახებ.

## ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის განცხადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ

ბერლინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციისა, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციის ბიუროს მიწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა ლეიბორისტული პარტიის შვიდი წევრი — თემთა პალატის დეპუტატები ფრენკ ბეზუიკი და მარკ ჰიუიტსონი, ლეიბორისტული პარტიის ლონდონის ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ე. ჰოპკინსი, კოოპერაციული პარტიის ლონდონის ორგანიზაციის პოლიტიკური კომიტეტის მდივანი ე. ბედფორდი, პროფკავშირული მოღვაწე ჯ. სეილი, დოცენტი მ. ბარეტ-ბრაუნი და ჯ. ჰოუელი.

განცხადებაში გამოთქმულია მადლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიწვევისათვის და ნათქვამია:

დელეგაციის წევრები შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა მინისტრებს, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საგარეო და შინა ვაჭრობის მინისტრს. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვესაუბრა საერთო ინტერესების შესახებ აღმოსავლეთ გერმანიის პროფკავშირებისა და კოოპერაციული მოძრაობის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე მეცნიერების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო საუბარი ბ-ნ შმიდტ-ვიტმაკთან გერმანიის გაერთიანების საკითხებზე.

ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ ვნახეთ, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ აღმოსავლეთ გერმანიის ცხოვრებას ინგლისში ჩვეულებრივ დამახინჯებულად ხატავენ. ჩვენზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ იქ არ არის სამარი თუ აგრესიული მზადების ან აზროვნების რაიმე ნიშანი.

ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ის ადამიანი, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, გულწრფელად ესწრაფვის გერმანიის გაერთიანებას მოლაპარაკების გზით იმ პირობებით, რომლებშიც იგულისხმება თავისუფალი არჩევნები, და რომ ამ მისწრაფებას შეუძლია მოიტანოს როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების, ისე დასავლეთის ქვეყნებისათვის მისაღები შედეგები.

## ნიუ-იორკს ჩავიდნენ სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). 21 სექტემბერს გემით „კუინ მერი" ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები.

სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ი. ვიშინსკი, რომელიც უფრო ადრე ჩამოვიდა ნიუ-იორკში; უკრაინის სსრ დელეგაციას — უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი; ბელორუსიის სსრ დელეგაციას — ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი.

დელეგაციებს შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლები.

## ოფიციალურად დაიხურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ოფიციალურად დაიხურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია.

გენერალური ასამბლეის მერვე სესიის თავმჯდომარემ ქ-ნმა პანდიტმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ზოგიერთი შენიშვნა გააკეთოს გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის მუშაობის შესახებ გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის გახსნისას. ამის შემდეგ თავმჯდომარემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია დახურულად გამოაცხადა.

## გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია.

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ 15 საათსა და 15 წუთზე ნიუ-იორკის დროით (22 ს. 15 წ. მოსკოვის დროით) გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია. სესია გახსნა ქ-ნმა პანდიტმა. პანდიტმა, როგორც დროებითმა თავმჯდომარემ, წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც იმედი გამოთქვა, რომ მეცხრე სესია „ისარგებლებს ყოველი შესაძლებლობით, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობისა და საერთაშორისო გაგების საქმეს, და განავითარებს ამ შესაძლებლობას". ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ საჭიროა მოთმინება და სიმტკიცე ამ ამოცანის შესრულებაში, ქ-ნმა პანდიტმა თქვა: „იმ მოლაპარაკების წარმატებამ, რომელმაც ბოლო მოუღო ომს ინდოჩინეთში, ცხადყო, თუ როგორ შევიძლია მოლაპარაკების გზით შევაჩეროთ ყველაზე ძნელი და საშიში კონფლიქტები. მართალია, ეს მოლაპარაკება უშუალოდ გაერთიანებულ ერებს არ უწარმოებიათ, მაგრამ ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეანელოს სიხარული იმის გამო, რომ დამთავრდა საომარი მოქმედება და მასთან ერთად შეწყდა მძიმე დანაკლისი და აღარ არის კიდევ უფრო დიდი კონფლიქტის შემდგომი საფრთხე".

ქ-ნ პანდიტის გამოსვლის შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა სამანდატო კომისიის წევრთა დანიშვნის საკითხის განხილვას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაიკავონ ადგილები გენერალურ ასამბლეასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში. აღნიშნა რა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირმა და ჟენევის თათბირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ვიშინსკიმ თქვა: ჟენევის თათბირმა დაადასტურა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საკითხების გადაჭრა შეუძლებელია, თუ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო დიდმა სახელმწიფომ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

აღნიშნა რა, რომ ეს საკითხი დიდი ხანია გადაჭრილი იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების ოპოზიცია რომ არ ყოფილიყო, ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასასრულს ოფიციალურად შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს მიეცეთ ადგილი გენერალურ ასამბლეაში და გაერთიანებული ერების სხვა ორგანოებში.

გენერალურმა ასამბლეამ 43 ხმით 11 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუციის ამერიკის პროექტი, რომელიც მოითხოვს გადაიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვა.

ამერიკის რეზოლუციის მიღების შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ ქ-ნ პანდიტის წინადადებით აირჩია სამანდატო კომისია შემდეგი ქვეყნების შემადგენლობით: ბირმა, სალვადორი, საფრანგეთი, ლიბანი, ახალი ზელანდია, პაკისტანი, საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები, ურუგვაი.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ თავისი მე-9 სესიის თავმჯდომარედ აირჩია ჰოლანდიის წარმომადგენელი ვან კლეფენსი.

## არჩევნების წინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

### გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა

ბერლინი, 21 სექტემბერი. (საკდესი). ბერლინში გაიმართა გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა. სხდომამ განიხილა პარტიის ამოცანები სახალხო პალატისა და საოლქო სახალხო წარმომადგენლობათა მომავალ 17 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით. სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის წინასაარჩევნო მოწოდება სახავს გერმანიის ეროვნული გაერთიანების, გერმანელებს შორის შეთანხმების გზას.

მილიტარისტთა სამხედრო ბლოკს დავუპირისპიროთ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის უძლეველი ძალა, გერმანიის მთელი მშვიდობისმოყვარე და პატრიოტული ძალების ერთიანი ფრონტი.

გერმანელ გლეხებს სურთ მშვიდობიან პირობებში თესონ და აიღონ მოსავალი. ამიტომ ძირს სამხედრო პაქტები და რემილიტარიზაციის გეგმები. ყველა პატრიოტთან ერთად ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლოს როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშვიდობიან გაერთიანებას. ჩვენ მოვითხოვთ საზავო ხელშეკრულებას, მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანას. ჩვენ მოვითხოვთ კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებას მთელი ევროპისათვის, როგორც ამის შესახებ წინადადება წამოაყენა საბჭოთა კავშირმა.

რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას, შემდგომ განამტკიცონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, იბრძოლონ იმისათვის, რომ არჩევნებში გაიმარჯვონ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა.

## იუგოსლავიის პრეზიდენტ ტიტოს სიტყვა

ბელგრადი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ბორბამ" გამოაქვეყნა იუგოსლავიის პრეზიდენტ ტიტოს სიტყვა ოსტროჟნოს (სლოვენია) მიტინგზე.

თავისი სიტყვის დასაწყისში ტიტო შეეხო იუგოსლავიის შინაგანი და ეკონომიური მდგომარეობის საკითხებს.

შემდეგ ტიტო შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს, და განაცხადა, რომ იუგოსლავიას არასოდეს არ სჯეროდა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" სიცოცხლისუნარიანობა. მას „ყოველთვის მიაჩნდა ეს გაერთიანება უდღეურად, ისეთ რამედ, რომელიც ხელოვნურად შეიქმნა და არა აქვს არსებობის პირობები".

ტიტომ თქვა: ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ჩაშლა კატასტროფა როდია და არის პირობები და გზები იმისათვის, რომ შეიქმნას ევროპაში ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს მის უშიშროებას არა მარტო გარედან, არამედ უშიშროებას თვით ევროპაში. მან განაგრძო:

„უფრო იმას უნდა ვუყურებდეთ, რომ ევროპის ინტეგრაციას დაედოს ჯანსაღი საფუძვლები, რათა გაუმჯობესდეს ურთიერთობა ევროპაში".

ჩვენ უკვე ვაცხადებდით, თქვა ტიტომ, რომ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ევროპის ასეთ თავდაცვით გაერთიანებასთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ისეთ გაერთიანებასთან, როგორსაც ადრე ვარაუდობდნენ.

შეეხო რა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირთან იუგოსლავიის შეერთების საკითხს, მან განაცხადა, რომ „ატლანტიკის პაქტს, თუ მას აქვს რაიმე თავისი „რეზონ დ'ეტრი" (არსებობის აზრი. — რედ.), ამჟამად სულ უფრო ენიჭება პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათი, ეს კი ნიშნავს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ ჩვენთვის მიუღებელია ის, რასაც ოდესღაც გვირჩევდნენ, — რომ საჭიროა შევუერთდეთ ატლანტიკის პაქტს".

ტიტომ აღნიშნა, რომ იუგოსლავიას ადგილი არა აქვს ამ კავშირში და თქვა:

„ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ სხვადასხვა საკითხებში. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ და რამდენადმე ვთანამშრომლობთ ატლანტიკის ბლოკთან, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ განსაზღვრულ საკითხში.

მაგრამ ყოველი იდეოლოგიური ბრძოლა, პრევენტიული ომის ყოველი სურვილი ჩვენთვის უცხოა, და ამ საკითხებში ვერ ვითანამშრომლებთ".

„მე მინდა ვთქვა, — განაცხადა შემდეგ ტიტომ, — რომ ყოველი ომი უაზრობაა, მაგრამ იდეოლოგიური ომი კიდევ უფრო უაზრობაა... ჩვენ ასეთი ბრძოლის წინააღმდეგი ვართ და ამიტომ ახლა ვერ დავეთანხმებით იმ პროპაგანდას, რომელიც წარმოებს საზღვარგარეთ კომუნიზმის წინააღმდეგ".

თავისი სიტყვის დასასრულს ტიტომ განაცხადა, რომ ყველა ქვეყანასთან იუგოსლავიის თანამშრომლობის პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმით, რომ ამას წინათ მან აღადგინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, ალბანეთთან, ხოლო ახლა ჩეხოსლოვაკიასთანაც.

„შეუძლია თუ არა ვინმეს და აქვს თუ არა უფლება ვინმეს გაგვკიცხოს ახლა იმის გამო, რომ ახლა გვესაჭიროება ეს ნორმალიზაცია? ნუთუ ამის ნაცვლად საჭიროა კვლავაც ვეჩხუბოთ მათ? — თქვა ტიტომ. — არავის არა აქვს ამისი უფლება. იქნებ ზოგ ვინმესათვის ეს სასარგებლო იყოს, მაგრამ ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსათვის ეს სასარგებლო არ არის"...

## განცხადება საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მუშათა დელეგაციისა, რომელიც სტუმრად იყო სსრ კავშირში

[illegible] ...გაციამ, იმოგზაურა დონის როსტოვში, კრასნოდარში, სოხუმსა და სოჩში, ინახულა მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, გაეცნო მტს-ების მუშაობას. დელეგატები იყვნენ აგრეთვე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

21 სექტემბერს გაზეთ „სელსკოე ხოზიაისტვოს" რედაქციამ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი შთაბეჭდილებები. დელეგაციის სახელით განცხადება გააკეთა მისმა ხელმძღვანელმა — საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მუშათა ეროვნული ფედერაციის მდივანმა გასტონ კატელენმა. მან აღნიშნა საფრანგეთის შრომელთა წარმომადგენლების გულთბილი მიღება საბჭოთა კავშირში. ჩვენ დავრწმუნდით, თქვა მან, რომ საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია საფრანგეთის შრომელებისადმი მეგობრობის უღრმესად გულწრფელი გრძნობებით. კატელენმა აღნიშნა საბჭოთა ხალხის განუხრელი მისწრაფება მშვიდობისადმი. სიტყვა „მშვიდობა", თქვა მან, იყო ერთ-ერთი პირველი რუსული სიტყვა, რომელიც დელეგაციამ გაიგონა.

კატელენმა აღნიშნა მშენებლობის გრანდიოზული გაქანება საბჭოთა კავშირში და საბჭოთა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაღალი დონე.

კატელენმა ილაპარაკა უდიდეს შთაბეჭდილებაზე, რომელიც დელეგაციის წევრებზე მოახდინა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ. „ეს გამოფენა, — თქვა მან, — ნათლად მოწმობს, რომ საბჭოთა ხალხსა და მის მთავრობას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძონ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზით".

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე დიდი წარმატებანი სსრ კავშირში, და კერძოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენს ქვეყანაში ვნახეთ, თქვა დასასრულ კატელენმა, ჩვენს დელეგაციას ერთსულოვნად მიაჩნია, რომ უაღრესად სასურველია განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის. მას მიაჩნია, რომ ურთიერთობის გაფართოება ეფექტიანად შეუწყობს ხელს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებას.

საფრანგეთის დელეგაციის წევრებმა პასუხი გასცეს საბჭოთა პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე.

## მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში

ამსტერდამი, 21 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მე-8 ტურში მრავალი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მოჭადრაკეების მატჩმა იუგოსლავიის გუნდთან, რომელსაც მეორე ადგილი უკავია ტურნირის ცხრილში.

პირველ დაფაზე ერთმანეთს შეხვდნენ გროსმაისტერი ბოტვინიკი და პირცი. პარტია გადაიდო: ბოტვინიკს გამარჯვების შანსები აქვს.

რთული პოზიციური თამაში გლიგორიჩ-სმისლოვის პარტიაში დიდხანს არ აძლევდა უპირატესობას რომელიმე მოწინააღმდეგეს. ორმხრივ ცაიტნოტში სმისლოვი გლიგორიჩზე უკეთ თამაშობდა. პარტია შეწყდა დაბოლოებაში, რომელშიც მინიმალური უპირატესობა აქვს საბჭოთა გროსმაისტერს.

ბრონშტეინმა მოუგო გროსმაისტერ ტრიფუნოვიჩს. მიიღო რა უპირატესობა დებიუტით, ბრონშტეინმა მთელი რიგი ოსტატური სვლებით მოამზადა უძლიერესი იერიში მეფის ფლანგზე, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. უიმედო მდგომარეობაში ტრიფუნოვიჩმა დროს გადააცილა.

წარუმატებლად ითამაშა გელერმა ფუდერთან. იუგოსლავმა ოსტატმა ხელთ იგდო ინიციატივა და მოამზადა ხელსაყრელი პაიკის წინ გაჭრა ლაზიერის ფლანგზე. პარტია დამთავრდა გელერის დამარცხებით. მატჩის ანგარიშია 1:1.

მე-8 ტურში დამთავრდა მხოლოდ ერთი მატჩი. ისრაელის გუნდმა ყაიმით დაამთავრა თამაში შვედ მოჭადრაკეებთან.

ამსტერდამი, 21 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მე-8 ტურის გადადებული პარტიების გათამაშების დროს მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა გამოიყენა თავისი უპირატესობა პარტიაში იუგოსლავ მოჭადრაკე პირცთან და 69-ე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

სმისლოვი თამაშის განუახლებლად დათანხმდა ყაიმზე გლიგორიჩთან, რადგან საბჭოთა გროსმაისტერს მინიმალური უპირატესობის გამოყენება არ შეეძლო. ამრიგად, მატჩი იუგოსლავიასთან დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2,5:1,5.

შედეგით 3:1 არგენტინამ მოუგო ინგლისს, უნგრეთმა — ჰოლანდიას და დასავლეთმა გერმანიამ — ისლანდიას. ჩეხოსლოვაკიამ მოიგროვა 2,5 ქულა ბულგარეთთან შეხვედრაში.

8 ტურის შემდეგ წინ არის სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც აქვს 25 ქულა. შემდეგ: არგენტინა — 20; დასავლეთი გერმანია და იუგოსლავია — 19,5; ჩეხოსლოვაკია — 18,5; უნგრეთი — 18, ისრაელი — 17,5; ჰოლანდია — 16; ბულგარეთი — 11,5; შვეცია — 9,5; ინგლისი — 9; ისლანდია — 8.

შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა სამი ტური.

## საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი დამასკოში

დამასკო, 21 სექტემბერი. (საკდესი). დამასკოს საერთაშორისო ბაზრობასთან დაკავშირებით კინოთეატრ „ფარდუსში" 19 სექტემბერს გაიხსნა საბჭოთა ფილმების ფესტივალი, რომლის დროსაც უჩვენებენ 14 კინოსურათს.

20 სექტემბერს სსრ კავშირის დესპანმა სირიაში მოაწყო საბჭოთა კინოფილმ „რუსული ბალეტის ოსტატების" საზოგადოებრივი ნახვა, რასაც დაესწრნენ სირიის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ღაზის მეთაურობით, საერთაშორისო ბაზრობის პავილიონების დირექტორები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა.



თბილისი. ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მთავარი კორპუსი უნივერსიტეტის ქუჩაზე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## იტალიის სოფლის მეურნეობის მუშათა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ერთ კვირას იყო სტუმრად იტალიის სოფლის მეურნეობის მუშათა და მოჯამაგირეთა დელეგაცია. დელეგაცია გაეცნო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

გორის რაიონში დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სოფელ მეჯვრისხევის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობა, მათ აინტერესებდათ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის საკითხები, იყვნენ არტელის ხეხილის ბაღში, ვენახებში, კოლმეურნეთა სახლებში.

დელეგაციამ დაათვალიერა გორში ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

სტუმრები გაემგზავრნენ თელავის რაიონში, აქ ისინი გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზონალური საცდელი სადგურისა და წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობას.

იტალიის სოფლის მეურნეობის მუშები აგრეთვე იყვნენ აჭარის ასს რესპუბლიკაში, სადაც დაათვალიერეს ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქობულეთის რაიონის სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის სტალინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობები.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრები გაეცნენ თბილისისა და ბათუმის ღირსშესანიშნაობებს.

იტალიის სოფლის მეურნეობის მუშათა და მოჯამაგირეთა დელეგაცია ბათუმიდან ქალაქ სოჭში გაემგზავრა. (საქდესი).

## მოწინავე მეშახტეები — „საპატიო წიგნში"

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 3 შახტის ათი სტახანოველი შახტის „საპატიო წიგნში" შეიტანეს. მათ შორის არიან გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი ვლადიმერ ჯოლია და გამყვანი შოთა ვოვა, რომლებმაც რვა თვის დავალება 226-245 პროცენტით შეასრულეს. „საპატიო წიგნში" შეიტანეს აგრეთვე 39 მწვრეველ-მტვირთავთა ბრიგადის ბრიგადირი ვარდენ მეტრეველი, უბნის უფროსი თეიმურაზ ბახტაძე, სამთო ოსტატი გივი ჩარკვიანი, გამყვანი თედო რომანოვსკი და სხვები.

## ინდოეთის კინოფილმების ფესტივალი

დღეს თბილისში დაიწყო ინდოეთის კინოფილმების ფესტივალი. კინოსურათებს აჩვენებენ რუსთაველის სახელობის კინოთეატრში, კინოთეატრ „ამირანში" და პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება ინდოეთის კინოფილმები „ორი გოჯი მიწა", „ქარიშხალი", ხოლო 27 სექტემბრიდან — კინოფილმი „მაწანწალა".

ფესტივალი 29 სექტემბრამდე გასტანს.

## სასამართლოს დარბაზიდან

## მკვლელი

სერგო მიხეილის-ძე ქოქოევი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას გაურბოდა, უქნარობაში ატარებდა დღეებს. იგი უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა თავის მეუღლე ფ. გოგიჩაევაზე, რომელიც სასადილოში მსახურობდა, ემუქრებოდა მას. ქალს ყოველგვარი შემთხვევისაგან იცავდა ბიძაშვილი ა. გოგიჩაევი.

... მიმდინარე წლის 25 ივლისს ს. ქოქოევი სასადილოში დილაადრიანად მივიდა.

— რას მიირთმევთ? — ჰკითხეს.

— მე ვიცი ჩემი გემოვნება, თქვენ რა გესაქმებათ, — შეუტია მიმტანს.

ქოქოევი სამზარეულოში შეიჭრა, მიიხედმოიხედა, დაინახა თავისი მეუღლე — მზარეული ქალი ფ. გოგიჩაევა და მისი ბიძაშვილი ა. გოგიჩაევი.

— ახლა სადღა წამიხვალთ? მე სადილი კი არა, ორივეს სიცოცხლის მოსპობა მსურს, ვეღარავინ გიშველით, — შესძახა ქოქოევმა, ხელი დასტაცა ცულს, ჯერ ერთს დაჰკრა, მერე მეორეს. ორივე სასიკვდილოდ დაჭრა.

ბოროტმოქმედი ადგილზევე შეიპყრეს.

მკვლელის საქმე ამ დღეებში გაარჩია სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლომ ამხ. ვ. კაჩმაზოვას თავმჯდომარეობით. ბოროტმოქმედ ქოქოევს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

პროცესზე დამსწრენი განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ.

ქ. სხვაველი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

მოქალაქე კარაპეტ მიკირტიჩის-ძე სარაპიანმა, მცხოვრებმა ფოსტას შესახ. № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ფედოსია იაკობის ასულ თურმანიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მოქალაქე თინა კონსტანტინეს ასულმა კურცხალიამ, მცხოვრებმა ქ. ქიათურაში, ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სახლში № 27, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **დიმიტრი ნიკოლოზის-ძე სამხარაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ნუნუ, სოლიკო თევზაძეები, დეიდები დარო, კატო, ძმა სოსო სალარიძე იუწყებიან **ელენე სიმონის ასულ სალარიძე-თევზაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-IX, 8 ს. გამოსვენება 26-IX, 4 ს. ბაქოს ქ. № 11.

მეუღლე ანუსია, ძმა მელიტონ, ძმისწულები ნინო, სიმონ, ვასო, მერაბ, რძლები ნათელა, ეკატერინე თოდაძეები შვილებით იუწყებიან **მელქო მერაბის-ძე თოდაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-IX, 7 ს. გამოსვენება 26-IX, 3 ს. ხუდადოვის ქ. № 24.

ბიძაშვილი მარო, სიძე კაკო ოდიშარიები შვილებით ნანათი და დიტოთი იუწყებიან **სარა ვეფხვიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები ალიოშა, გივი, იონა, ლოლა, რძლები თამარ, ნინო, თინა, სიძე ვახტანგ კუხალეიშვილი, დები ივდით, ნატაშა, ეფროსინე ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ოქროპირის-ძე შალამბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IX პატარა ჯიხაიშში (წულუკიძის რ.).

მეუღლე ლეო, შვილები სოსო, რეზო, რძალი ნინო, შვილიშვილი მარინე, მულები სონია, ვერა, მაზლები კაკო, მიშა კუპრეიშვილები იუწყებიან **ნუნუ ნიკიფორეს ასულ ქავთარაძე-კუპრეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-IX, 7 ს. გამოსვენება 26-IX, 5 ს. საბჭოს ქ. № 81.

მშობლები მარგო, ამირიდონ, და ნონა, ძმა ამირიდონ, ბებიები სოფიო, ელისაბედ, ბიძები პოლისტი ყურაშვილი, კონსტანტინე, დავით, გრიშა ესებუები იუწყებიან **კობა ამირიდონის-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IX ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 70.

შვილები ნათელა, მზია, დები ასინო, ოლღა ერისთავები, რძალი ნუნუ მაყაშვილი, სიძე ნ. დგებუაძე, შვილიშვილები თამარ, გოგიტა, ელიზბარ ერისთავები, მაკა, დევი დგებუაძეები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IX, 8 ს. გამოსვენება 25-IX, 5½ ს. პეტრიაშვილის ქ. № 20.

საქართველოს სახელმწიფო კაპელის კოლექტივი იუწყება **მიხეილ ივანეს-ძე თაქთაქიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ისიდორე, სიმონ, შალვა, ქეთო, რძლები ფოტინე, თამარ, ნინო, ნათელა, შვილიშვილები სულიკო, ქორა, გურამ, ნოდარ, ზაალ, თამილა კეკელიძეები, ნოდარ, იზოლდა, ვალიდა ლომთათიძეები იუწყებიან **დიმიტრი ალექსის-ძე კეკელიძის** გარდაცვალებას, დაკრძალვა 25-IX სოფ. იანეულში (ჩოხატაურის რ.).

დები ეკატერინე, მარიამ, ლენა, მერი, აგრაფინა, ძმები ილია, გურგენ სირაძეები, სიძეები გ. სვანი, ა. ნეფარიძე, ა. აბაიშვილი, რძლები კასანია, ვერა, ქსენია შვილებით იუწყებიან **სოფიო ალექსის ასულ გიორგობიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IX, 7 ს. გამოსვენება 25-IX, 5 ს. თოფურიძის ქ. № 56.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-09-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 15803 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.